



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს პარლამენტის
ჯივნი ბიბლიოთეკა

უცნობი ავტორი

ქებაჲ წმიდისა
აბოღსი

ქებაა წმიდისა აზოფსი
უცნობი ავტორი

[ქება] წმიდისა აბოძსი

ეჰა დიდებუ[ლი] საკვრველი წმიდისა და ახოანისა ქრისტესისა აბოძსი, რომელი-იგი ისმაიტელ იყო რჩულითა, შური აღილო წმიდისა მოციქულისა პავლესი, რადთა ზე აქუნდეს სახელი მისი ყოველთა კიდეთა სოფლისათა. მოვედით მორწმუნენო, ვადიდებდეთ საჯსენელსა მისსა და უგალობდეთ, რომელმან ღირსად გვრგვნოსან-ყო იგი.რაჟამს წარადგინეს იგი წინაშე მძლავრისა მის აგარეანისა, აიძულებდა მას და ეტყოდა, რადთამცა უარ-ყო ქრისტე, ხოლო მან აღიარა ძე მამისა თანა და არა უარ-ყო სამებაი. მოვედით მორწმუნენო, ვადიდებდეთ [საჯსენებელსა მისსა და უგალობდეთ, რომელმან ღირსად გვრგვნოსან-ყო იგი].გულის წყრომისა მძლავრი იგი და ფერი პირისა მისისა ექცეოდა ზედა წმიდისა მოწამისა ქრისტესისა აბოძსა, ხოლო იგი უფროდს ღაღადებდა და იტყოდა: "დაღაცათუ ცეცხლითა და ტანჯვითა აღმასრულოთ მე, არად უარ-ვეყო სამებაი წმიდაი". მოვედით მორწმუნენო, [ვადიდებდეთ საჯსენებელსა მისსა და უგალობდეთ, რომელმან ღირსად გვრგვნოსან-ყო იგი].მაშინ აღიჭურვოდეს ურჩულონი იგი ტყებად ზედა წმიდისა მოწამის[ა] ქრისტესისა აბოძს[ა]. ხოლო მან სიხარულით მოუდრიკა მახვლსა ქედი თვისი. რამეთუ იძროდა მისლვად უფლისა თვისისა და ისწრაფდა შესლვად სასუფეველსა მისსა... [მოვედით მორწმუნენო, ვადიდებდეთ საჯსენებელსა მისსა და უგალობდეთ, რომელმან ღირსად გვრგვნოსან-ყო იგი].რაჟამს შეკრბეს მოხუცებულნი ისმაიტელთანი წინაშე ურაკპარაკთა მათთასა და განიზრახვიდეს იგინი წამებად მოწამისა ქრისტესისა აბოძსთვს. მღდელნი აკურთხევდით, რომელმან განაძლიერა იგი, ერნი უფროდსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე!მაშინ უბრძანა მძლავრმან მან მოწოდებაი წმიდისა აბოძსი და ეტყოდა მას: "უკუეთუ ესე ესრცთ არს, აბოძ, რადსა ესე შეგწამებენ შენ". მღდელნი აკურთხევდით, რომელმან ძლიერებაი მიჰმადლა, ერნი [უფროდსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე]!

მიუგო წმიდამან უფლისამან აბოძ და ჰრქუა მას: "მშობელნი ჩემნი თუ

ისმაიტელ არიან, ხოლო მე მსახური ვარ ჭემმარიტისა ძისა ღმრთისაჲ”. მღდელნი აკურთხევდით, რომელმან განაძლიერა იგი, ერნი [უფროდსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე]! მაშინ განრისხნა მძლავრი იგი და ფერი პირისა მისისაჲ ექცეოდა ზედა წმიდისა და ახოანისა ქრისტესისა აბოდსა. [მღდელნი აკურთხევდით, რომელმან განაძლიერა იგი, ერნი უფროდსად აღამაღლებდით მას უკუნისამდე]!

დღეს ღაღადებდა აბოდ შორის სიმრავლესა წარმართთასა: ვითარ მიმელოს მე ცხორებაჲ კაცობრივი და ვითარ წარმეკუეთოს თავი აბოდსა, ვითარ მო[მ]მართოს მახვლმან, ვითარცა ნაყოფმან კეთილმან, ვითარ აღმევსოს მე გული სისხლითა, ვითარცა მანანადთა. მივსენ მე, უფალო, აგარეანთაგან! ხოლო სიმრავლეს აგარეანთაჲ ღაღადებდ[ი]ს და ეტყოდის აბოდს: ”მოიქეც რჩულისა ჩუენისაებრ და იყო შენ ყოველთა უზეშთაჲს”. ხოლო აბოდ ღაღადებდა და ეტყოდა: ”არაჲ, არაჲ მივმს მე თქუენგან ქრთამი - ოქროჲ, არცა ანთრაკი, არცა ვეძიებ ცხორებასა ამის საწუთროდსასა, არამედ რადთა ვიხილო სული წმიდაჲ, მარჯულ მამისა მჯდომარეჲ, რომლისა სიტყუანი მისნი ტკბილ არიან უფროდს თავლისა მის გოლეულისა, არამედ ვითარ გნებავს, წარმართნო, აღმასრულებთ, რამეთუ არავინ არს მიმღებელ სულისა წმიდისა!” მაშინ მოწყვდეს აბოდ მახვლითა და გუამი მისი დაწუეს ცეცხლითა, და წარიყვანეს იგი ანგელოზთა ღმრთისათა წინაშე უფლისა. იხილა და [ჰ]რქუა მას: ”გიხაროდენ აბოდ, რომელ არაჲ შეგაწუხა მახვლმან, არცა სატანჯველთა, არცა სიმრავლემან აგარეანთამან. ამისთვისცა ღირს იქმენ შესლვად სასუფეველსა ცათასა წარუალსა!” ტანჯვასა დაუთმო ისმაიტელთასა წმიდამან აბოდ მვნედ და ეშმაკნი განასხნა, და მსხუერპლად შეწირნა ჳორცნი

თვსნი და ქრისტესა ქადაგებდა. ვითარცა მნათობმან და მოლუაწემან ყოვლისა სოფლისამან იღუაწა და სიკუდილი შეურაცხ-ყო, და ზრუნვად ამის სოფლისაჲ დაუტევა და შენ მხოლოსა სათნო-გეყო, და აწ მეოხ არს სულთა ჩუენთათვის დიდსა წყალობასა! სუროდა მისლვად უფლისა თვსისა სანატრელსა მოწამესა ქრისტესსა აბოდს. დგა წინაშე მძლავრისა

მის, ჰხედვიდა მახვლსა აღმართებულსა, არაჲ შეშინდა შინებისაგან მათისა, არამედ განიძარცუა სამოსელი, მოუდრიკა მახვლს თავი თვისი და დასთხინა სისხლნი თვისნი და აწ მეოხ არს სულთა ჩუენთათჳს დიდსა წყალობასა!

შეიმოსა სამოსელი ღირსთა მამათაჲ საყუარელმან ქრისტჳსმან აბოჲ. ურმითა მიაქუნდა, ვითარცა ეტლითა, ადგილსა მას შესაწირავსა, ვითარცა მსხუერპლი კეთილი და საკუმეველი სუნნელი და ნელსაცხებელი პატიოსანი ცეცხლისაგან შეიწირა და საფლავი მისი წყალთა ზედა, და [აწ] მეოხ [არს სულთა ჩუენთათჳს დიდსა წყალობასა!] დღესასწაულსა მას შუენიერსა, ნათლისღებასა მაცხოვრისასა, მეორედ შობასა დიდისა მოწამისა აბოჲსსა, იხარებდეს მდინარენი და მნათობდეს ღელვანი, რამეთუ სათნო-ყო ქრისტემან მის თანა წყალთა შინა. მაშინ განიკუ[რ]ნებოდეს უძლურებანი კაცთანი და სიხარულით აღივსნეს მორწმუნენი, და აწ მეოხ [არს სულთა ჩუენთათჳს დიდსა წყალობასა!] მოვედით მორწმუნენო ქრისტეჲსნო, ვჰყოფდეთ ჰსენებასა წმიდის[ა] აბოჲსსა, რომელმან შეურაცხ-ყო განწყობილებაჲ იგი აგარეანთაჲ და შეურაცხ-ყო ცეცხლი და მახვლი სახელისათჳს ქრისტჳსა და მოიგო გვრგვნი დიდებისაჲ წმიდათა მისთა თანა!